შპს ბი ეს კონსალტინგი

ქარექსპრესსი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიში
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
31 დეკემბერი 2019

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....1

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება....2

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება....3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება....4

ფინანსური ანგარშგების განმატებითი შენიშვნები

1.კორპორატიული ინფორმაცია....**5**

2.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება....**5**

3.ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული....**11**

4.ძირითადი საშუალებები....**12**

5.სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები....**12**

6.გადახდილი ავანსები....**13**

7.ფული და ფულის ექვივალენტები....**13**

8.გადახდილი ავანსები....**13**

9.მიღებული სესხები....**13**

10.სავაჭრო და სხვა დავალიანებები....**14**

11.საწესდებო კაპიტალი....**14**

12.შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან....**14**

13.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება....**14**

14.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**15**

15.მოგების გადასახადი....**15**

16.სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა....**15**

17.პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები....**18**

18.დაკავშირებული მხარეები....**19**

19.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები....**19**

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

შპს „ქარექსპრესსი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ქარექსპრესსი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „ქარექსპრესსი“-სგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სხვა გარემოებათა აბზაცი

„ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს „ქარექსპრესს“-მა მოამზადა მმართველობითი ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არსებითი ცდომილება და მმართველობითი ანგარიში მომზადებულია მენეჯმენტის მიერ და განხილულია აუდიტორის მიერ ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცის შესაბამისად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

30 ოქტომბერი 2020 წელი

შპს „ბი ეს კონსალტინგი“

SARAS-F-586073

მმართველი პარტნიორი

ნუნუ ფაცაცია

SARAS-A-516755

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

30 ოქტომბერი 2020 წელი

შპს „ბი ეს კონსალტინგი“

SARAS-F-586073

მმართველი პარტნიორი

ნუნუ ფაცაცია

SARAS-A-516755

შპს „ბი ეს კონსალტინგი“ BSC 405145221 B S CONSULTING LTD

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2019**	**31 დეკემბერი 2018**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	404,831	272,814
სულ გრძელვადიანი აქტივები		**404,831**	**272,814**
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,900,172	3,540,955
გადახდილი ავანსები	6	13,779,602	24,448,277
ფული და ფულის ექვივალენტები	7	2,426,281	479,070
სულ მოკლევადიანი აქტივები		**19,106,056**	**28,468,302**
სულ აქტივები		**19,510,886**	**28,741,116**
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	11	10	270,289
გაუნაწილებელი მოგება		2,849,249	521,808
სულ კაპიტალი		**(2,849,238)**	**792,097**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	-	43,013
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	**43,013**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	8	22,191,009	27,405,875
მოკლევადიანი სესხები	9	67,551	410,998
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	101,565	89,133
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**22,360,125**	**27,906,006**
სულ ვალდებულებები		22,360,125	**27,949,019**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**19,510,886**	**28,741,116**

_____
გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	404,831	272,814
სულ გრძელვადიანი აქტივები		**404,831**	**272,814**
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,900,172	3,540,955
გადახდილი ავანსები	6	13,779,602	24,448,277
ფული და ფულის ექვივალენტები	7	2,426,281	479,070
სულ მოკლევადიანი აქტივები		**19,106,056**	**28,468,302**
სულ აქტივები		**19,510,886**	**28,741,116**
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	11	10	270,289
გაუნაწილებელი მოგება		2,849,249	521,808
სულ კაპიტალი		**(2,849,238)**	**792,097**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	-	43,013
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**-**	**43,013**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	8	22,191,009	27,405,875
მოკლევადიანი სესხები	9	67,551	410,998
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	101,565	89,133
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**22,360,125**	**27,906,006**
სულ ვალდებულებები		22,360,125	**27,949,019**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**19,510,886**	**28,741,116**

გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	**2019**	**2018**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	12	194,745,636	114,620,457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(194,411,710)	(111,902,615)
საოპერაციო შემოსავალი		**333,927**	**2,717,842**
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,160,428)	(1,498,115)
სხვა შემოსავალი		79,301	
საოპერაციო მოგება		**(1,747,201)**	**1,219,727**
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	10	(1,179,966)	41,485
ფინანსური ხარჯები	9	(40,700)	(27,025)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)		(281,085)	(113,010)
მოგება დაბეგვრამდე		**(3,248,952)**	**1,121,177**
მოგების გადასახადი		-	
წმინდა მოგება		**(3,248,952)**	**1,121,177**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
სულ წლის სრული შემოსავალი		**(3,248,952)**	**1,121,177**

_____
გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	12	194,745,636	114,620,457
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(194,411,710)	(111,902,615)
საოპერაციო შემოსავალი		**333,927**	**2,717,842**
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,160,428)	(1,498,115)
სხვა შემოსავალი		79,301	
საოპერაციო მოგება		**(1,747,201)**	**1,219,727**
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	10	(1,179,966)	41,485
ფინანსური ხარჯები	9	(40,700)	(27,025)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი)		(281,085)	(113,010)
მოგება დაბეგვრამდე		**(3,248,952)**	**1,121,177**
მოგების გადასახადი		-	
წმინდა მოგება		**(3,248,952)**	**1,121,177**
სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
სულ წლის სრული შემოსავალი		**(3,248,952)**	**1,121,177**

გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	საწესდებო აპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 12/31/2017		**331,014**	**(499,368)**	**(168,354)**
წლის მოგება		-	1,121,177	**1,121,177**
გადახდილი დივიდენდი		-	(100,000)	**(100,000)**
კაპიტალის ზრდა/(კლება)		(60,726)	-	**(60,726)**
ბალანსი 12/31/2018		**270,288**	**521,809**	**792,097**
წლის მოგება		-	(3,248,952)	**(3,248,952)**
გადახდილი დივიდენდი		-	(122,105)	**(122,105)**
კაპიტალის ზრდა/(კლება)		(270,278)		**(270,278)**
ბალანსი 12/31/2019		**10**	**(2,849,248)**	**(2,849,238)**

გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	საწესდებო აპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 12/31/2017		**331,014**	**(499,368)**	**(168,354)**
წლის მოგება		-	1,121,177	**1,121,177**
გადახდილი დივიდენდი		-	(100,000)	**(100,000)**
კაპიტალის ზრდა/(კლება)		(60,726)	-	**(60,726)**
ბალანსი 12/31/2018		**270,288**	**521,809**	**792,097**
წლის მოგება		-	(3,248,952)	**(3,248,952)**
გადახდილი დივიდენდი		-	(122,105)	**(122,105)**
კაპიტალის ზრდა/(კლება)		(270,278)		**(270,278)**
ბალანსი 12/31/2019		**10**	**(2,849,248)**	**(2,849,238)**

გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		**(3,248,952)**	**1,121,177**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		60,278	64,628
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი		1,179,966	(41,485)
დარიცხული პროცენტი		40,700	27,025
საკურსო სხვაობის ეფექტი		281,085	113,010
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე		**(1,686,923)**	**1,284,355**
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(523,036)	(2,249,200)
ცვლილება გადახდილ ავანსში		10,668,676	(10,243,636)
ცვლილება მიღებულ ავანსში		(5,214,866)	11,560,649
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		12,432	(74,454)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		**3,256,283**	**277,714**
გადახდილი პროცენტი		(40,700)	(27,025)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,215,583**	**250,689**
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(276,342)	(94,550)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა		84,045	
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(192,297)**	**(94,550)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი სესხები		(438,450)	281,461
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(270,278)	(60,726)
გადახდილი დივიდენდი		(122,105)	(100,000)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(830,833)**	**120,735**
ფული და ფულის ექვივალენტები			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		479,070	202,196
წმინდა კურსთაშორის სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(245,241)	
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		2,192,453	276,873
31 დეკემბრის მდგომარეობით		**2,426,282**	**479,070**

გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		**(3,248,952)**	**1,121,177**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		60,278	64,628
საეჭვო მოთხოვნების ხარჯი		1,179,966	(41,485)
დარიცხული პროცენტი		40,700	27,025
საკურსო სხვაობის ეფექტი		281,085	113,010
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე		**(1,686,923)**	**1,284,355**
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(523,036)	(2,249,200)
ცვლილება გადახდილ ავანსში		10,668,676	(10,243,636)
ცვლილება მიღებულ ავანსში		(5,214,866)	11,560,649
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში		12,432	(74,454)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		**3,256,283**	**277,714**
გადახდილი პროცენტი		(40,700)	(27,025)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,215,583**	**250,689**
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(276,342)	(94,550)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა		84,045	
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(192,297)**	**(94,550)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი სესხები		(438,450)	281,461
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(270,278)	(60,726)
გადახდილი დივიდენდი		(122,105)	(100,000)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		**(830,833)**	**120,735**
ფული და ფულის ექვივალენტები			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		479,070	202,196
წმინდა კურსთაშორის სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(245,241)	
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		2,192,453	276,873
31 დეკემბრის მდგომარეობით		**2,426,282**	**479,070**

გივი ნუცუბიძე
კომერციული დირექტორი

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ‘‘ქარექსპრესსი‘‘ (შემდგომში „კომპანია‘‘) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანია‘‘ დაარსდა 2011 წელს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. მისი იურიდიული მისამართია სიჭინავას ქუჩა N45, ზუგდიდი საქართველო.

კომპანიის 100% წილის მფლობელი შოთა ჟვანია (2018: 100%), ხოლო კომპანიის დირექტორია თებეა ჟვანია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების, მოტოციკლეტების, ასევე ავტონაწილებისა და აქსესუარების იმპორტი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (‘‘ფასს’’) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.

- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი‘‘), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება
ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 16 „იჯარა“, რომელიც გამოიცა 2016 წლის იანვარში IASB-ის მიერ ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან.

ფასს 16 „იჯარა“-მ ჩაანაცვლა ბასს 17 (IAS 17) „იჯარები“, ფასიკ 4 (IFRIC 4) „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 (SIC 15) „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 (SIC 27) „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ამ სტანდარტის გამოყენების შედეგად კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ყველა საოპერაციო იჯარასთან მიმართებით, გარდა დაბალი ღირებულიების მქონე იჯარებისა და მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულებებისა, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგი 12 თვის განმავლობაში.

ახალი სტანდარტის მიღებას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია.

სააღრიცხო პოლიტიკა
ძირითადი საშუალებები
აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება გადაფასებული ღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- მანქანა-დანადგარები 2-10 წელი;
- ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი 2-10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი;
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 5 წელი;

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გარდა გუდვილისა, აქვს განსაზღვრული ექსპლუატაციის ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ექსპლუატაციის პერიოდში.

- არამატერიალური აქტივები 5-10 წელი;

ფინანსური ინსტრუმენტები
პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი
პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნესმოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო

განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>181
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 16-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხვება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული

აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერილური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება ინდივიდულური მეთოდი. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდგომ.

შემოსავლები
შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძვლეზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს , ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, კომპანია ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

4. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	**მიწა**	**ავეჯი და ინვენტარი**	**ოფისის აღჭურვილობა**	**სატრანსპორტო საშუალებები**	**იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა**	**სულ**
2017 წლის 31 დეკემბერი	**-**	**43,371**	**45,389**	**247,801**	**40,795**	**377,356**
შეძენა	-	5,666	30,321	58,563	-	94,550
გაყიდვა	-	(336)	-	(66,906)	-	(67,242)
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**48,701**	**75,710**	**239,458**	**40,795**	**404,664**
შეძენა	89,430	11,660	27,985	147,267		276,342
გაყიდვა	-			(107,445)		(107,445)
2019 წლის 31 დეკემბერი	**89,430**	**60,361**	**103,695**	**279,280**	**40,795**	**573,560**
ცვეთა და ამორტიზაცია						
2017 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(2,975)**	**(16,164)**	**(52,038)**	**(8,159)**	**(79,336)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	(2,035)	(13,284)	(41,150)	(8,159)	(64,628)
გაყიდული აქტივის ცვეთა	-	-	-	12,114	-	12,114
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(5,010)**	**(29,448)**	**(81,074)**	**(16,318)**	**(131,850)**
ცვეთა წლის მანძილზე	-	(5,001)	(16,832)	(30,286)	(8,159)	(60,278)
გაყიდული აქტივის ცვეთა	-			23 398		23,398
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(10,011)**	**(46,280)**	**(87,962)**	**(24,477)**	**(168,729)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერი	**-**	**40,396**	**29,225**	**195,763**	**32,636**	**298,020**
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**43,691**	**46,262**	**158,384**	**24,477**	**272,814**
2019 წლის 31 დეკემბერი	**89,430**	**50,350**	**57,415**	**191,319**	**16,318**	**404,831**

2019 წლის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს ძირითადი საშუალებები სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული.

5. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
სავაჭრო მოთხოვნები	4,107,865	3,634,657
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	120,811	32,869
სულ ფინანსური აქტივები	**4,228,675**	**3,667,526**
გაუფასურების ანარიცხი	(1,364,490)	(207,133)
წმინდა ფინანსური აქტივები	**2,864,185**	**3,460,393**
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ	17,167	53,504
ავანსები	18,820	27,058
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,900,172**	**3,540,955**

დებიტორული დავალიანებების ანარიცხები 2019 წლის 31 დეკემბრის ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებული დღეები	**<30**	**31 – 60**	**61-90**	**91-180**	**180<**	
რეზერვის პროცენტი	**2%**	**5%**	**25%**	**50%**	**100%**	**სულ**
სავაჭრო მოთხოვნები	2,267,093	271,075	159,343	534,073	997,092	4,228,676
გაუფასურების ანარიცხი	(46,970)	(13,555)	(39,838)	(267,036)	(997,092)	(1,364,491)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2,220,123**	**257,520**	**119,505**	**267,037**	**-**	**2,864,185**

დებიტორული დავალიანებების ანარიცხები 2018 წლის 31 დეკემბრის ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებული დღეები	**<30**	**31 – 60**	**61-90**	**91-180**	**180<**	
რეზერვის პროცენტი	**2%**	**5%**	**25%**	**50%**	**100%**	**სულ**
სავაჭრო მოთხოვნები	3,365,320	62,015	53,873	186,318	31,383	3,667,526
გაუფასურების ანარიცხი	(66,021)	(3,102)	(13,468)	(93,159)	(31,383)	(207,133)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**3,299,299**	**58,913**	**40,405**	**93,159**	**-**	**3,460,393**

საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

31 დეკემბერი 2017	**248,618**
შემცირება წლის განმავლობაში	(206,263)
დარიცხვა წლის განმავლობაში	164,778
31 დეკემბერი 2018	**207,133**
შემცირება წლის განმავლობაში	(141,899)
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,299,256
31 დეკემბერი 2019	**1,364,490**

6. გადახდილი ავანსები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებებლისგან მიღებული შეკვეთის შედეგად მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები შეადგენს 13,779,602 ლარს (2018: 24,448,278 ლარი).

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	8,043	27,246
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,418,238	451,824
სულ	**2,426,281**	**479,070**

ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის

8. გადახდილი ავანსები

მომხმარებლის შეკვეთის შედეგად მიღებული ავანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 22,191,009 ლარს (2018: 27,405,875 ლარი).

9. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
მოკლევადიანი სესხები	-	410,998
გრძელვადიანი სესხები	67,551	43,013
სულ	**67,551**	**454,011**

ქვემოთ მოცემულია სესხის ანალიზი და ვალდებულებების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან შესაბამისი პერიოდისთვის.

	2019	**2018**
საწყისი ნაშთი	454,010	129,610
საპროცენტო ხარჯი	40,700	27,025
მიღებული სესხი	3,660,696	1,161,150
ძირი თანხის გადახდა	(4,099,146)	(879,690)
გადახდილი პროცენტი	(40,700)	(27,024)
გადაფასების ეფექტი	51,991	42,940
სულ მიღებული სესხი	**67,551**	**454,011**

სესხი მიღებულია საბანკო ინსიტუტებისგან წლიური 7.28 % საპროცენტო სარგებლით, რომელთა დაფარვის ვადა არის 2020 წელი. სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა ხორციელდება გრაფიკის შესაბამიად ყოველთვიურად.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

10. სავაჭრო და სხვა დავალიანებები

	31 დეკემბერი 2019	**31 დეკემბერი 2018**
სავაჭრო ვალედბულებები	90,526	48,127
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	11,039	33,333
ავანსები	-	7,673
სულ	**101,565**	**89,133**

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 10 ლარს. 2019 წლის განმავლობაში მფლობელის მიერ საწესდებო კაპიტალიდან გატანილია 270,278 ლარი.
2019 წლის განმავლობაში მფლობელზე გაცემული დივიდენდი შეადგენს 122,105 ლარს (2018: 100,000 ლარი).

12. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანიის მიერ 2019 წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებების იმპორტიდან გენერერირებული შემოსავლები შეადგენს 194,745,636 ლარს. (2018: 114,620,457ლარი).

კომპანიის მომხმარებლებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს როგორც საქონლის შესყიდვის ფასს აგრეთვე საბაჟო ტერმინალზე გადახდილ გადასახდებს და სხვა ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია საქონლის შეძენასთან:

	2019	**2018**
შესყიდვის ფასი	189,285,383	108,720,961
სატერმინალო ხარჯი	4,973,779	2,954,225
სხვა ხარჯები	152,547	227,429
სულ	**194,411,710**	**111,902,615**

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	**2018**
შრომის ანაზღაურება	1,574,300	1,058,784
იჯარის ხარჯი	161,595	150,839
საკონსულტაციო მომსახურება	60,000	-
ცვეთა და ამორტიზაცის ხარჯი	60,277	64,178
ბანკის საკომისიო ხარჯი	57,622	42,601
საპენსიო ხარჯი	31,199	-
სხვა ხარჯები	203,325	132,856
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,148,318**	**1,498,115**

15. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას, სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

16. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის

ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ექვივალენტები	2,426,281	479,070
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2,864,185	3,460,393
მთლიანი ფინანსური აქტივები	**5,290,467**	**3,939,463**
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(101,565)	(81,460)
მიღებული სესხები	(67,551)	(454,011)
მთლიანი ფინანსური ვალდებულები	**(169,116)**	**(535,471)**

(გ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ

ფინანსური აქტივები	**31 დეკემბერი 2019**	**31 დეკემბერი 2018**
ფული და ფულის ექვივალენტები	2,426,281	479,070
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2,864,185	3,460,393
სულ ფინანსური აქტივები	**5,290,467**	**3,939,463**

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების სამდონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში

- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2019 წლის დასაწყისში ასევე 2019 წლის ბოლოს,

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე, კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე,

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ,

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით:

ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის;

ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 წელი და მეტი ვადით	სულ
ფული ფა ფულის ექვივალენტები	2,426,281	-	-	2,426,281
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2,864,185	-	-	2,864,185
აქტივები31,12,2019	**5,290,467**	**-**	**-**	**5,290,467**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(101,565)	-	-	(101,565)
მიღებული სესხები	(67,551)	-	-	(67,551)
ვალდებულებები 31,12, 2019	**(169,116)**	**-**	**-**	**(169,116)**
ბალანსი 31,12, 2019	**5,121,351**	**-**	**-**	**5,121,351**

ლიკვიდურობის ცხრილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 წელი და მეტი ვადით	სულ
ფული ფა ფულის ექვივალენტები	479,070	-	-	479,070
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	3,460,393	-	-	3,460,393
აქტივები	**3,939,463**	**-**	**-**	**3,939,463**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(81,460)	-	-	(81,460)
მიღებული სესხები	(410,998)	(43,013)	-	(454,011)
ვალდებულებები	**(492,458)**	**(43,013)**	**-**	**(535,471)**
ლიკვიდურობის პოზიცია	**3,447,005**	**(43,013)**	**-**	**3,403992**

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიის მიერ განხორციელებული გაყიდვების ტრანზაქციები ხორციელდება ფუნქციონალურ ვალუტაში, ხოლო შესყიდვებისას გამოყენებულია საავანსო ანგარიშსწორება, შესაბამისად კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი ნაშთები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი

საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო პროცესები

პერიოდულად და საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში, შესაძლოა კომპანიის წინააღმდეგ არსებობდეს პრეტენზიები, თავისი შეფასებების საფუძველზე, ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი არ წარმოიქმნება პრეტენზიებთან დაკავშირებით, და ამიტომ სათანადო მუხლი არ არის ფინანსურ ანგარიშგებებში.

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

	2019	**2018**
მომსახურების ხარჯი	4,973,779	2,030,725
ხელფასები	192,308	70,235

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნილებას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, კომპანიამ დროულად განიხილა და გადახედა ორგანიზაციის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობა ერთეულის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება.

კომპანია არ განიხილავს COVID-19- ს ფინანსური ანგარიშგების მაკორექტირებელ მოვლენად და შესაბამისად გავლენა არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მენეჯმენტი მიიჩნევს რომ პანდემიას ექნება უარყოფითი ეფექტი იმ დონით რა დონითაც იმოქმედებს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე.

ბალანსის შემდგომ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მმართველობითი ანგარიში

შპს ქარექსპრესსი

2019

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 4

კომპანიის განვითარების გეგმები 5

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა 5

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ 5

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია 5

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 6

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ 6

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კოპმპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად 7

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 ოქტომბერს.

შპს ქარესპრესი

კომერციული დირექტორი

გივი ნუცუბიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 ოქტომბერს.

შპს ქარესპრესი

კომერციული დირექტორი

გივი ნუცუბიძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებულნი არიან, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობით ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კოპმპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია შპს "ქარექსპრესსი" (იურიდიული მის.: საქართველო, ქ. ზუგდიდი, ვ. სიჭინავას ქ. N45; ს/ნ 404910511, დაარსების წ. 14.09.2011) ახორციელებს ავტომობილების, მოტოციკლეტებისა და სპეცტექნიკის იმპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. კომპანია „ქარექსპრესსი" ოფიციალურად ლიცენზირებული დილერია ავტოიმპორტის სფეროში, რაც საშუალებას აძლევს მონაწილობა მიიღოს მსოფლიოს წამყვან საავტომობილო აუქციონებზე. კომპანია შექმნილია ავტოიმპორტის სფეროში 11 წლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალი გუნდის მიერ, საზოგადოებაში მოპოვებული ნდობისა და მიღწეული ფინანსური წარმატების ბაზაზე. კომპანია „ქარექსპრესსის" მისიაა: მხოლოდ კმაყოფილი და ბედნიერი მომხმარებლების ბაზაზე მიღწეული ფინანსური წარმატება; მისი ხედვაა ინოვაციური პროექტების და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების განხორციელება.

კომპანიას შემუშავებული აქვს კლიენტების ინტერესებზე მორგებული მენეჯმენტი, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეიძინონ მაღალხარისხიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება. ამ მიზნით კომპანია მაქსიმალურად აფართოებს საქმიან კონტაქტებს მსოფლიოს წამყვან ავტოექსპორტიორ ფირმებთან, რაც დადებითად აისახება ავტომანქანებს ფასების შემცირებაზე და ზრდის კლიენტის მიერ სასურველი ავტომანქანის სასურველ ფასად შეძენის შესაძლებლობას.

კომპანიის უმთავრესი ღირებულებებია:

- მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და წარმატებისკენ;
- მუდმივი სწრაფვა მომხმარებლების, თანამშრომლების, პარტნიორებისა და კლიენტების ნდობის მოპოვებისკენ;
- მუდმივი სწრაფვა მომხმარებლების მოთხოვნებზე მომსახურეობის მაქსიმალურ მორგებაზე, რათა მათ შეძლონ სასურველი მოძრავი ქონების სასურველ ფასად შეძენა;
- მუდმივი ზრუნვა მომსახურეობის სისწრაფის, უსაფრთხოების და დაბალი ტარიფების უზრუნველსაყოფად;
- მომხმარებლისთვის ხელსაყრელი გადახდის პირობების შეთავაზება;
- მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაციების გაწევა ავტომანქანისა და სხვა პროდუქციის შერჩევასთან და მათ ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით;
- მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური იურიდიულიკონსულტაციის და მომსახურეობის გაწევა ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადაო საკითხზე.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

2019 წელს კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
კომპანიას შემუშავებული აქვს კლიენტების ინტერესებზე მორგებული მენეჯმენტი, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეიძინონ მაღალხარისხიანი ავტოსატრანსპორტო საშუალება. შედეგად კომპანიის შემოსავლები ხასიათდება ზრდადი მაჩვენებლებით.



კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
ფინანსური რისკები

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი; და
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში, კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

დებიტორული დავალიანება: მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველი საბალანსო თარიღისათვის.სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა თუ რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. ყოველ კონტრაგენტთან გადახდის პირობებს არეგულირებს ხელშეკრულება. ხოლო ჯგუფური მუდგომის დროს იყენებს

გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილბულ დღეებზე, კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

კომპანიის საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება კონტრაგენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნით. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. სავაჭრო დებიტორები შედგებიან მრავალი მომხმარებლისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საეჭვო ვალების რეზერვის შექმნით.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კოპმანიას აქვს დადებითი ლიკვიდურობის პოზიცია და არ დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიის მიერ განხორციელებული გაყიდვების ტრანზაქციები ხორციელდება ფუნქციონალურ ვალუტაში, ხოლო შესყიდვებისას გამოყენებულია საავანსო ანგარიშსწორება. შესაბამისად კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების არსებითი ნაშთები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კოპმპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების

მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

შპს ქარესპრესი

კომერციული დირექტორი

გივი ნუცუბიძე

მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

შპს ქარესპრესი

კომერციული დირექტორი

გივი ნუცუბიძე